**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# მეტეხი, სოფელი

მეტეხი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის კასპის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე. ადმ. ერთეულის ცენტრი (სოფლები: მ., ბარნაბიანთკარი, სადგური მეტეხი). ზ. დ. 570 *მ.* კასპიდან 10 *კმ.* 2105 მცხ. (2014).

სოფელში ჯერ კიდევ ადრინდელ ბრინჯაოს ხანაში უცხოვრია ადამიანს. შუა საუკუნეებში მ. მცხეთის საკათოლიკოსოს ეკუთვნოდა. 1467 კათოლიკოსმა აბრამ აბალაკმა სოფელში შემოიყვანა ახალი რუ. 1470 დავით კათოლიკოსმა აზნაურ მაღალაძეს მ-ში უწყალობა ვენახი. 1804 მ. გორის მაზრაში შედიოდა. იქ მცხოვრები 95 კომლი მცხეთის საკათოლიკოსოს და ამილახვრებს ეკუთვნოდათ. 1810 კათოლიკოსმა ანტონ II-მ მ-ის მოურავად დანიშნა დავით მაღალაშვილი. 1865-თვის მ. გორის მაზრის ხიდისთავის უბნის სოფელი იყო და იქ 141 კომლი ცხოვრობდა.

მ-ის ცენტრში დგას ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რ-შიც შედის XIII ს. ღვთისმშობლის გუმბათიანი ტაძარი (1687 განაახლა ნიკოლოზ კათოლიკოსმა), სამრეკლო და გვიანდ. შუა საუკუნეების გალავანი კოშკების ნაშთებით.

***ჯ. გვასალია***